

„საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ 2016 წლის 10 მარტს კომისიამ მიიღო №159/23 გადაწყვეტილება „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ".

ამავე გადაწყვეტილებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის განისაზღვრა 3 თვიანი ვადა და საკითხის ზეპირი მოსმენის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 12 აპრილი.

საკითხის მოსმენა გაიმართა კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომებზე 2016 წლის 12 და 21 აპრილს, ასევე 17 მაისს. სხდომებს ესწრებოდნენ სს "სილქნეტის", შპს "კავკასუს ონლაინის ", შპს "ახალი ქსელების" და შპს "ახტელის" წარმომადგენლები.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის (დ.გოგიჩაიშვილი, დ.ქუთათელაძე) მიერ წარმოდგენილი იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ჩატარებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგები. კერძოდ:

კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილების შესაბამისად თბილისი განსაზღვრულია როგორც საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით მომსახურების შესაბამისი სეგმენტის ერთი გეოგრაფიული ზონა, ამავე დროს, როგორც ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა აჩვენებს, თბილისის მასშტაბით კონკურენციის პირობები არ არის ერთგვაროვანი ამ მომსახურების კუთხით. არის გეოგრაფიული ზონები, სადაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ აქვს კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე

ავტორიზებულ პირად განსაზღვრულ სს „სილქნეტს“, შესაბამისად, ასეთ ადგილებში არსებული სხვა კომპანიის საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მსურველისათვის სრულიად არაეფექტურია კომისიის გადაწყვეტილებით სს „სილქნეტისათვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ ქ. თბილისის ტერიტორია უნდა იქნას დაყოფილი მომსახურების სხვადასხვა ზონებად.

ქ.თბილისის მომსახურების ზონებად დაყოფისათვის გამოყენებული იქნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, კერძოდ, ქ. თბილისში მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები დაიყო „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უზნებად დაყოფის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-35 2014 დადგენილებით განსაზღვრული ტერიტორიული ერთეულების (უზნების) მიხედვით.

კომისიის მოთხოვნის საფუძველზე 2016 წლის 4 აპრილს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან მიღებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების - უზნების ციფრული რუკა.

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა აღნიშნული წარმოების ფარგლებში დაამუშავა ავტორიზებული პირების მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაცია საკანალიზაციო არხების ოდენობების შესახებ (GIS ფორმატში), რომლის დატანა მოხდა ქ. თბილისის მერიიდან კომისიაში მიღებულ თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების, უზნების, ტერიტორიული საზღვრების თაობაზე, კოორდინატების მიხედვით დატანილ ციფრულ რუკაზე. მოხდა უზნების, ტერიტორიული ერთეულების და ადმინისტრაციული საზღვრების იდენტიფიცირება და საკანალიზაციო არხების რაოდენობების დათვლა ავტორიზებული პირების მიხედვით. ქ. თბილისში საკანალიზაციო არხების ოდენობების დათვლის შედეგები მოცემულია ცხრილში:

ადგილობრივი მომსახურების ზონა	ავტორიზებული პირი	ტრანშის სიგრძე (მეტრი)	არხის სიგრძე (არხი/მეტრი)	წილი არხის სიგრძის მიხედვით %
ავჭალა, გლდანის ხევი	ახალი ქსელები	23 474	26 419	15,2%
	კავკასუს ონლიანი	21 675	21 675	12,4%
	სილქნეტი	29 623	126 240	72,4%
დიდუბე	ახალი ქსელები	3 640	3 684	1,6%
	კავკასუს ონლიანი	20 814	21 442	9,3%
	მაგთიკომი	649	649	0,3%
	სილქნეტი	43 119	205 050	88,8%
დიღმის მასივი	ახალი ქსელები	19 645	28 993	17,7%
	კავკასუს ონლიანი	21 101	21 101	12,9%
	სილქნეტი	31 746	113 749	69,4%
დიღომი, ვაშლიჯვარი	ახალი ქსელები	28 494	38 386	21,8%
	კავკასუს ონლიანი	34 799	34 799	19,8%
	სილქნეტი	30 770	102 619	58,4%
ფონიჭალა	ახტელი	2 281	2 316	2,1%
	კავკასუს ონლიანი	16 099	16 099	14,4%
	სილქნეტი	14 309	93 280	83,5%

გლდანის, კენტი მიკრორაიონები	ახალი ქსელები	13 687	21 460	22,2%
	კავკასუს ონლიანი	16 715	16 715	17,3%
	სილქნეტი	19 992	58 314	60,4%
გლდანის ლუწი მიკრორაიონები	ახალი ქსელები	19 459	25 791	20,3%
	კავკასუს ონლიანი	17 289	17 289	13,6%
	სილქნეტი	23 469	83 988	66,1%
კალა, ორთაჭალა	ახალი ქსელები	861	861	0,3%
	ახტელი	14 645	19 410	7,9%
	კავკასუს ონლიანი	16 826	16 847	6,8%
	სილქნეტი	35 768	209 743	85,0%
კიკეთი, კოჯორი	სილქნეტი	13	13	100%
კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანი	ახალი ქსელები	10 526	16 437	6,3%
	კავკასუს ონლიანი	22 989	22 995	8,8%
	სილქნეტი	34 737	223 051	85,0%
ლილო	კავკასუს ონლიანი	8 426	8 426	11,6%
	სილქნეტი	16 925	64 364	88,4%
მესამე მასივი	ახტელი	21 253	41 856	21,9%
	კავკასუს ონლიანი	24 102	24 116	12,6%
	სილქნეტი	26 756	125 298	65,5%
მთაწმინდა, სოლოლაკი	ახალი ქსელები	1 809	1 809	0,7%
	კავკასუს ონლიანი	11 185	11 185	4,6%
	სილქნეტი	46 327	232 614	94,7%
მუხიანი	კავკასუს ონლიანი	12 346	12 346	16,1%
	სილქნეტი	13 924	64 345	83,9%
ნავთლული	ახტელი	19 197	25 619	14,8%
	კავკასუს ონლიანი	16 663	19 639	11,4%
	სილქნეტი	23 938	127 283	73,8%
ნაძალადევი	ახალი ქსელები	13 122	18 060	12,1%
	კავკასუს ონლიანი	6 605	6 651	4,5%
	სილქნეტი	25 507	124 360	83,4%
ნუცუბიძის მიკრორაიონები	ახალი ქსელები	13 251	15 814	18,4%
	კავკასუს ონლიანი	18 567	18 567	21,6%
	სილქნეტი	19 794	51 512	60,0%
ორხევი, აეროპორტი	ახტელი	3 649	3 916	2,9%
	კავკასუს ონლიანი	17 840	17 840	13,1%
	სილქნეტი	29 613	114 215	84,0%
ქვედა ჩულურეთი	ახალი ქსელები	454	454	0,2%
	ახტელი	231	231	0,1%
	კავკასუს ონლიანი	8 921	8 921	3,3%
	სილქნეტი	51 977	260 287	96,4%
ქვემო სამგორი	ახტელი	28 995	39 825	16,5%

	კავკასუს ონლიანი	25 393	30 269	12,6%
	სილქნეტი	38 892	170 585	70,9%
სანზონა	ახალი ქსელები	5 200	5 789	3,1%
	კავკასუს ონლიანი	14 518	14 518	7,7%
	სილქნეტი	33 227	167 261	89,2%
თემქა	ახალი ქსელები	2 563	3 598	3,0%
	კავკასუს ონლიანი	18 459	18 459	15,6%
	სილქნეტი	24 396	96 333	81,4%
ვაჟა-ფშაველას კვარტლები	ახალი ქსელები	17 948	25 935	13,3%
	კავკასუს ონლიანი	26 284	26 284	13,5%
	სისტემნეტი	1 616	5 691	2,9%
	მაგთიკომი	2 415	3 356	1,7%
	სილქნეტი	30 546	133 816	68,6%
ვაკე, ბაგები	ახალი ქსელები	2 298	2 444	0,9%
	კავკასუს ონლიანი	34 110	34 110	12,1%
	სილქნეტი	51 967	245 832	87,1%
ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი	ახალი ქსელები	20 260	31 324	18,4%
	კავკასუს ონლიანი	23 160	23 160	13,6%
	სილქნეტი	26 176	115 819	68,0%
ვერე	ახალი ქსელები	2 313	2 313	1,5%
	კავკასუს ონლიანი	12 810	12 810	8,4%
	სილქნეტი	27 638	136 678	90,0%
ვეძისი, ყაზბეგი, გოთუა, საბურთალო	ახალი ქსელები	1 470	1 470	0,5%
	კავკასუს ონლიანი	34 665	34 665	11,7%
	სილქნეტი	51 409	260 068	87,8%
წყნეთი	კავკასუს ონლიანი	285	285	1,4%
	სილქნეტი	10 113	20 642	98,6%
ზემო ავლაბარი, მეტრომშენი	ახალი ქსელები	26 105	41 154	16,8%
	კავკასუს ონლიანი	14 277	14 277	5,8%
	სილქნეტი	32 783	190 092	77,4%
ზემო ჩუღურეთი	ახალი ქსელები	737	750	2,9%
	ახალი ქსელები	340	340	1,3%
	კავკასუს ონლიანი	6 266	6 266	23,8%
	სილქნეტი	18 943	18 943	72,0%
ძველი ნაძალადევი, ლოტკინი	ახალი ქსელები	12 573	15 085	21,9%
	კავკასუს ონლიანი	6 689	6 689	9,7%
	სილქნეტი	15 885	47 231	68,4%
ვარკეთილი	სილქნეტი	919	919	1,1%
	კავკასუს ონლიანი	15 283	15 283	18,1%
	ახალი ქსელები	14 077	68 371	80,8%
წავკისი-შინდისი-ტაბახმელა		0	0	0%

იმის გამო, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს და საკანალიზაციო არხებით მომსახურება არ ხდება ქ. თბილისის წავკისი-შინდისი-ტაბახმელას უბანში, ხოლო კიკეთი-კოჯორის უბანში საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის სიგრძე უმნიშვნელოა (13 მეტრი), არ მოხდა მათი, როგორც მომსახურების ზონების განხილვა.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა. რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე: ა)ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25პროცენტის; ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში: დილომი-ვაშლიჯვარი, გლდანის კენტი მიკრორაიონებში და ნუცუბიდის მიკრორაიონებში მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები არიან სს "სილქნეტი", შპს "ახალი ქსელები" და შპს "კავკასუს ონლაინი" ერთობლივად, ხოლო ვარკეთილის ადგილობრივი მომსახურების ზონაში - შპს "ახტელი".

„საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილებით საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს: სს "სილქნეტს", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ახალ ქსელებს“ ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში იმ გეოგრაფიულ ზონაში სადაც ეს კომპანიები ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დაუდგინდა ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე.

კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №477/23 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების („საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით“) ფარგლებში შპს „ახტელის“ მიერ 2014 წლის 24 სექტემბრის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის N 6/5937-14) წარმოდგენილი იქნა საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მოდელი. წარმოდგენილი მოდელის მიხედვით დანახარჯები ერთ არხ კილომეტრზე თვეში შეადგენდა 282,15 ლარს. კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა კორექტირებები შეიტანა შპს „ახტელის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში (იხ. კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N 620/9 გადაწყვეტილება). კორექტირებით ერთ არხ კილომეტრზე თვეში დანახარჯები შეადგენს 178,92 ლარს.

კომისიამ 2015 წლის 23 ივნისის N 08/1101-15 წერილით შპს „კავკასუს ონლაინს“ მოსთხოვა კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური

წესების” საფუძველზე მომზადებული სატელეკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების გაანგარიშების მოდელის წარმოდგენა.

შპს „კავკასუს ონლაინის“ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯები

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი (წერილი N01-02/7358, 27.08.2015წ.) საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მოდელი მომზადებულია შპს „კავკასუს ონლაინის“ 2014 და 2015 წლის 6 თვის ფინანსური/საბუღალტრო და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების დაჯგუფება ხარჯების ტიპისა და შინაარსის მიხედვით მოცემულია ცხრილ N 1.1-ში:

ცხრილი N1.1

კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი		666	
WACC		10.16%	
საბალანსო ნარჩენი ღირებულება		30/06/2015	ხარჯის %
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები		18,607,210	
კაპიტალის ღირებულება		157,541	62%
ხარჯის ტიპი			
რემონტი და შეკეთება		1,364	1%
პერსონალის ხელფასი		20,850	8%
ცვეთა და ამორტიზაცია		72,797	29%
სულ ხარჯები		95,011	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება		252,552	
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი		379.12	100%

კომპანიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შპს „კავკასუს ონლაინის“ მფლობელობაში იყო 666,16 კმ საკანალიზაციო არხი. აღნიშნული აქტივის საბალანსო ღირებულება 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 18 607 210 ლარს, ხოლო ერთი არხი კილომეტრის საშუალო საბალანსო ღირებულება შეადგენდა 27 932 ლარს (საკანალიზაციო არხები მონაკვეთების მიხედვით ექსპლუატაციაში შესულია 2011 და შემდგომი წლებიდან).

შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას ამ მომსახურებაზე გაწეული საოპერაციო ხარჯების, ცვეთის და ამორტიზაციის, პერსონალის ხელფასის და კაპიტალის ღირებულების ჯამი გაიყო საკანალიზაციო არხების სრულის სიგრძეზე - ფაქტიურ 666,16 არხ/კილომეტრზე.

კომპანიის ხელფასის ხარჯები მომსახურების სახეებზე მიკუთვნებულია სამტატო განრიგის მიხედვით.

კომპანიის საოპერაციო ხარჯები მომსახურების სახეებზე გადანაწილებულია შესრულებული სარემონტო სამუშაოების მიხედვით.

შენიშვნა N1. შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი განაკვეთი) გაანგარიშება განსხვავდება კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს №477/23 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების („საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით“) ფარგლებში სხვა კომპანიების მიერ წარმოდგენილი WACC-ის გაანგარიშებისგან (10%), ამასთან ის არ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს“.

შენიშვნა N2. კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით თბილისის გეოგრაფიულ ზონაში შპს „კავკასუს ონლაინის“ მფლობელობაში იყო 554 კმ საკანალიზაციო არხი (ეს მონაცემები ასევე ემთხვევა GIS ფორმატში წარმოდგენილ ინფორმაციას). ხოლო შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით თბილისის გეოგრაფიულ ზონისთვის აღნიშნული მონაცემები შეადგენს 540 კმ-ს.

კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული შენიშვნა N N 1 და N 2 -ის გათვალისწინებით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები. კორექტირებით მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილი N 1.2- ში:

კანალიზაციის სიგრძე, კმ/არხი		680	
WACC		10.00%	
საბალანსო ნარჩენი ღირებულება		30/06/2015	ხარჯის %
სატელეკომუნიკაციო ჭები და არხები		18,607,210	
კაპიტალის ღირებულება		155,060	62%
ხარჯის ტიპი			
რემონტი და შეკეთება		1,364	1%
პერსონალის ხელფასი		20,850	8%
ცვეთა და ამორტიზაცია		72,797	29%
სულ ხარჯები		95,011	
სულ ხარჯები და დატვირთული კაპიტალის ღირებულება		250,071	
დანახარჯი 1 კმ/არხზე თვეში, ლარი		367.67	100%

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დასკვნებს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების ზონების განსაზღვრის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის, ასევე შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მოდელის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივების შპს „მაგთიკომის“ მიერ შემენის და გადაცემის დადასტურების შემდეგ კომისია იმსჯელებს აღნიშნული გარიგების შედეგად შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო არხების გათვალისწინებით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული მდგომარეობის შეფასების და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის 620/9 გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კომისის სხდომაზე სს"სილქნეტის" წარმომადგენელმა (ლ.ბუჩუკური) აღნიშნა, რომ კომისიის მიერ საკანალიზაციო არხებით მომსახურების ბაზარზე ავტორიზებული პირების საბაზრო წილების დათვლა მოხდა საკანალიზაციო არხების რაოდენობის და არა საკანალიზაციო თხრილის სიგრძის მიხედვით, რაც სს "სილქნეტის" აზრით არასწორია, რადგან სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ქსელის პრივატიზების შემდგომ, სს "სილქნეტი"-ს მფლობელობაში აღმოჩნდა საკანალიზაციო არხების დიდი რაოდენობა, შესაბამისად, სს "სილქნეტს" მფლობელობაში გააჩნია საკომუნიკაციო საკანალიზაციო მომსახურების ისეთი უბნები, სადაც საკანალიზაციო ნაგებობა შეიცავს არხების ზედმეტ რაოდენობას, ამიტომ ეს იწვევს სს "სილქნეტის" ბაზრის წილის გაზრდას საკომუნიკაციო საკანალიზაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე. სს"სილქნეტის" წარმომადგენელმა კომისიისაგან მოითხოვა ავტორიზებული პირების საბაზრო წილების დადგენა მოხდეს საკომუნიკაციო საკანალიზაციო თხრილის სიგრძის მიხედვით.

კომისიამ არ გაიზიარა სს "სილქნეტის" პოზიცია ავტორიზებული პირების საბაზრო წილების გაანგარიშების მიდგომის შეცვლის თაობაზე და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია სს"სილქნეტის" მიერ შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით ბაზრის კონკრეტულ გეორაფიულ ზონებში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების გამოვლენა. ამ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის და ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შესწავლილ იქნება საკანალიზაციო თხრილში განსათავსებელი არხების ნორმალიზაცია/სტანდარტიზაციის საკითხები, კერძოდ, კომისია გამიკვლევს ავტორიზებული პირების საკანალიზაციო თხრილში ავტორიზებული პირების შესაძლო მოთხოვნების გათვალისწინებით მაქსიმალურად რამდენი არხების არსებობაა საჭირო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, V თავის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში:

- ა) ავჭალა, გლდანის ხევის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ბ) დიდუბის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- გ) დიღმის მასივის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- დ) დიღომი, ვაშლიჯვარის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ე) ფონიჭალის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ვ) გლდანის, კენტი მიკრორაიონების ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ზ) გლდანის ლუწი მიკრორაიონების ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- თ) კალა, ორთაჭალის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ი) კოსტავა, ბახტრიონი, დოლიძე, ხილიანის ადგილობრივი მომსახურების ზონა;

- კ) ლილოს ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ლ) მესამე მასივის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- მ) მთაწმინდა, სოლოლაკის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ნ) მუხიანის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ო) ნავთლუღის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- პ) ნაძალადევის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ჟ) ნუცუბიდის მიკრორაიონების ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- რ) ორხევი, აეროპორტის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ს) ქვედა ჩუღურეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ტ) ქვემო სამგორის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- უ) სანზონის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ფ) თემქის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ქ) ვაჟა-ფშაველას კვარტლების ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ღ) ვაკე, ბაგების ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ყ) ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- შ) ვერეს ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ჩ) ვეძისი, ყაზბეგი, გოთუა, საბურთალოს ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ც) წყნეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ძ) ზემო ავლაბარი, მეტრომშენის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- წ) ზემო ჩუღურეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ჭ) ძველი ნაძალადევი, ლოტკინის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
- ხ) ვარკეთილის ადგილობრივი მომსახურების ზონა."

ბ) გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქ.თბილისი:

- ა.ა) ქ.თბილისის დილომი-ვაშლიჯვარის, გლდანის კენტი მიკრორაიონების და ნუცუბიდის მიკრორაიონების ადგილობრივი მომსახურების ზონებში სს "სილქნეტი", შპს "ახალი ქსელები" და შპს "კავკასუს ონლაინი" ერთობლივად;
- ა.ბ) ქ. თბილისის ვარკეთილის ადგილობრივი მომსახურების ზონაში - შპს "ახტელი";
- ა.გ) ქ. თბილისის დანარჩენ ადგილობრივი მომსახურების ზონებში - სს "სილქნეტი";"

გ) გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის 7.4 ქვეპუნქტის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს: სს "სილქნეტს ", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ახალ ქსელებს“ და შპს „ახტელს“ და შპს "კავკასუს ონლაინს" ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში იმ გეოგრაფიულ ზონაში სადაც ეს კომპანიები ცნობილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, დაუდგინდეს ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე; "

2. გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეგულირება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან;
3. დაევალოს შპს "ახალ ქსელებს", შპს "ახტელს" და შპს "კავკასუს ონლაინს":
 - ა) ინფორმაციის გამჭვირვალობის სპეციფიკური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) კომისიაში წარმოდგენა 2016 წლის 15 ივლისამდე;
 - ბ) ელექტრონულ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილ ზედა ზღვრულ ტარიფებთან შესაბამისობაში მოყვანა 2016 წლის 1 აგვისტომდე;
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს „სილქნეტისთვის“, შპს "ახალი ქსელებისთვის", შპს "ახტელისთვის" და შპს "კავკასუს ონლაინისთვის" ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე

ვ. აბაშიძე

კომისიის წევრი

ე.ასანიძე

კომისიის წევრი

კ. ბექაური

კომისიის წევრი

მ. ქათამაძე

კომისიის წევრი

გ. ფრუიძე